ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №26

09 ივნისი 2023 წელი

11:30 საათი

ა/წ 09 ივნისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. სოფიო ჯაფარიძე;
6. ლილე ლიპარტელიანი;
7. მამუკა გუგეშაშვილი;
8. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს;

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) მიხედვით, ცვლილება შედის ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი N3) (შემდგომში - წესი) მე-9 მუხლში.
მიმწოდებლისათვის დადგენილ დამატებით პირობებში ცვლილება შედის მიმწოდებლის მიერ დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმების ჩამონათვალში, კერძოდ, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი ქცევის ანალიტიკოსი, რომელიც არის ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსი და გავლილი აქვს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტებული BCBA დონის საერთაშორისო კურსები. პროექტის თანახმად, ქცევის ანალიტიკოსს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCBA დონის საერთაშორისო კურსებთან ერთად დამატებით ასევე მოეთხოვება ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული IBA/QBA საერთაშორისო სერთიფიკატის ქონა.
ასევე წესის ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს 5 ქცევის ტექნიკოსზე არანაკლებ 1 ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი, რომელიც არის ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი, ხოლო წარმოდგენილი პროექტში მითითებულია, რომ მიღებული აქვს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატი. ამასთან მოქმედი რედაქციის მიხედვით ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი უნდა ასრულებდეს სუპერვაიზორისათვის განკუთვნილ მრავალფეროვან სამუშაოს, რომელიც დელეგირებული და გაკონტროლებულია ქცევის ანალიტიკოსის მიერ, წარმოდგენილი პროექტით დაზუსტებულია, რომ აღნიშნული სამუშაო გაკონტორებული უნდა იქნას ისეთი ქცევის ანალიტიკოსის მიერ რომელსაც ექნება BCBA/IBA/QBA საერთაშორისო სერტიფიკატი.

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ლილე ლიპარტელიანმა.
ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების ცვლილებას.

2. გარდა ამისა, საკითხის წარმომდგენმა კომისიის სხდომაზე მეორე საკითხი დააყენა განსახილველად, პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-121 დადგენილებაში, (შემდგომში - დადგენილება) კერძოდ დადგენილების პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში.

მოქმედი რედაქციის თანახმად, შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას წარმოადგენს მოსარგებლის შეფასება ბართელის კითხვარის მიხედვით, რომლის შევსების ღირებულებაა 8 (რვა) ლარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ბართელის კითხვარის შევსების ღირებულება განისაზღვრება 9 (ცხრა) ლარით. მომხსენებლის განმარტებით კითხვარი არის გერმანული მოდელის ანალოგი და მისი შევსების შემდგომ ხდება განსაზღვრა, რამდენად შეესაბამება პირი ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

კომისიის წევრი ნათია მოდებაძე დაინტერესდა ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობით. გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით ამჟამად შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამით სარგებლობს 1000 -მდე პირი.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს.

კომისიამ დაადგინა

პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე